



# საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



ქალაქი ფოთი

№ 04/188

11 / თებერვალი / 2019 წ.



KA000081784555819

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალარინების სისტემის მშენებლობასთან დაკავშირებით მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2019 წლის 6 თებერვალს, N 1456/1 წერილით მომართა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-მ და ითხოვა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალარინების სისტემის მშენებლობასთან დაკავშირებით მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურმა შეისწავლა ზემოაღნიშნული საკითხი და მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს წერილი და თანდართული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2009 წლის 24 მარტის, № 57 დადგენილების, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 15 იანვრის, № 59 დადგენილებისა და საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ამდენად, შესაძლებელია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალარინების სისტემის მშენებლობასთან დაკავშირებით მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება.


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაუგრძელდეს მშენებლობის ნებართვის ვადა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალარინების სისტემის მშენებლობას 2019 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 1 აგვისტომდე.
2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალარინების სისტემის მშენებლობის პროცესში სხვადასხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების საკუთრებაზე ზიანის მიყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს - შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“.

3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქ.№3).
4. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ბრძანებას და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას გაეცნონ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის. ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქ. №12).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელექტრონულად 

გონა კურდღელია